

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ.ვანი თავისუფლების N65

25 იანვარი 2021 წელი

15:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, გელა ვარდოსანიძე, თამთა დვალიშვილი.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ოჩხიკიძე, კობა ძაგნიძე.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

**კომისიის სხდომის თავმჯდომარე** - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

## დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მომხს: /ივანე მამფორია/

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### **მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის 2685 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებისა და 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3208,0 ათასი ლარი. 2021 წლის 201 იანვრის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე ნაშთის სახით ირიცხება 1283,0 ათასი ლარი, საიდანაც 701,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებია (მათგან 700,0 ათასი ლარი უკვე გათვლილი იყო 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში, ხოლო 582,0 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების ნაშთიდან 582,0 ათასი ლარიდან: 264,6 ათასი ლარი წარმოადგენს შესრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდის გასვლამდე დაკავებულ თანხას, 180,9 ათასი ლარი გარდამავალი ხელშეკრულებების ნაშთს, ხოლო 136,5 თავისუფალ ნაშთს. ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 10108,0 ათასი ლარით, გადასახდელები 11391,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1283,0 ლარის რედაქციით:

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

#### **დაადგინეს:**

წარმოდგენილი საკითხი გატანილი იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე